ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გიორგი ტურაზაშვილი – კოლეგიის თამჯდომარე

ნათია კორკოტაძე – კოლეგიის წევრი

ია გაბედავა – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ხ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 13.12.2011

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 109/11

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ზ. ჯ.–ის მიმართ /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ზ. ჯ.–ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2011 წლის 30 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისაგან მიიღო საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალურ ვებ–გვერდზე შესული ხ. მ.–ის განცხადება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2010 წლის 06 მარტს ადვოკატთა ასოციაციის წევრმა, ადვოკატმა ზ. ჯ.–მ თაღლითურად მიითვისა მისი კუთვნილი 25000 ლარი. კერძოდ, დაარწმუნა, რომ ჰყავდა ახლობლები პროკურტურაში, რომელთა დახმარებითაც გარკვეული და გადაწყეტილი ჰქონდა მისი მეუღლის ლ. ი.–ის საპროცესო შეთანხმების

საკითხი. ადვოკატმა სახელმწიფო ბიუჯეტში თანხის შეტანის მოტივით, მას 25000 ლარი წინასწარ გამოართვა, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ხელვაჩაურის სასამართლოს 2010 წლს 26 აპრილის განაჩენით მის მეუღლეს, ლ. ი.–ს საქართველოს სსკ–ის 218–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის მიესაჯა 5 წელი პირობითი სასჯელი და ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით. ასევე დაეკისრა სახელმწიფო ბიუჯეტზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება, 84000 ლარის ოდენობით. საჩივრის ავტორის განცხადებით, თანხის ნაწილი 40000 ლარი განაჩენის გამოტანის დღეს გადაიხადა, ხოლო ნაწილი - 3 თვის განმავლობაში უნდა დაეფარა, სწორედ კუთვნილი თანხის დასაბრუნებლად ცდილობდა ადვოკატთან დაკავშირებას, თუმცა ვერ ახერხებდა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას შემდეგ, რაც იგი დარწმუნდა ადვოკატის მიერ მისი კუთვნილი თანხის მითვისებაში, მან განცხადებით მიმართა აჭარის პროკურატურას, რომლის საფუძველზეც დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის № საქმეზე. ადვოკატს შეეფარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180–ე მუხლის მე–3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, ასევე გამოძიებისას მოპოვებულ და დაყადაღებულ იქნა ბრალდებულ ზ. ჯ.–ის ქონება.

1.5 საჩივრის ატორის განცხადებით, სისხლის სამართლის საქმე გადატანილ იქნა ქ.თბილისში და გარკვეული პერიოდის შემდეგ ბრალდებული გაათავისუფლეს.

II სამოტივაციო ნაწილი

2. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' ადვოკატთა ერთიანი სიის მონაცემების თანახმად, ზ. ჯ. 2013 წლის 26 დეკემბრამდე ირიცხებოდა სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრად ერთიან სიაში საერთო სპეციალიზაციით, სიითი №. სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს 2013 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით (სხდომის ოქმი №129) „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21^3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად, ცნობად იქნა მიღებული ადვოკატ ზ. ჯ.–ის პირადი განცხადება წევრობის შეწყვეტის თაობაზე და ადვოკატს 26 დეკემბრიდან შეუწყდა სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა.

3. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ზ. ჯ.–ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ” ქვეპუნქტის საფუძველზე.

4. სამართლებრივი შეფასება:

4.1 ხ. მ.–მ ეთიკის კომისიას საჩივრით თავად მომართა 2011 წლის 26 იანვარს, ეთიკის კომისიამ 2011 წლის 13 მაისს და 13 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის

ადმინისტრაციისგან რეაგირებისთვის მიიღო ხ. მ.–ის მსგავსი საჩივრები. ხ. მ.–ის 2011 წლის 13 მაისის საჩივრის განხილვა შეჩერდა ეთიკის კომისიის 2011 წლის 06 ივნისის გადაწყვეტილებით, ხოლო 2011 წლის 13 დეკემბრის საჩივრის განხილვა 2011 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით. საჩივრის განხილვის შეჩერების საფუძველს წარმოადგენდა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოება, კერძოდ 2011 წლის 26 იანვარს ეთიკის კომისიაში შემოსულ ხ. მ.–ის საჩივარზე, (დისციპლინური საქმე №005/11) და 2011 წლის 13 დეკემბერს (დისციპლინური საქმე №048/11) მიმდინარე დისციპლინური წარმოება. 2014 წლის 29 იანვარს მესამე საპროცესო კოლეგიისა და პირველი დისციპლინური კოლეგიის გადაწყვეტილებებით დისციპლინურ საქმეებზე №005/11 და №048/11 ზ. ჯ.–ის მიმართ შეწყდა დისციპლინური წარმოება ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის საფუძველზე. ზ. ჯ. 2013 წლის 26 დეკემბრამდე ირიცხებოდა სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრად ერთიან სიაში საერთო სპეციალიზაციით, სიითი №. ადვოკატს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს 2013 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილების თანახმად (სხდომის ოქმი №129), პირადი განცხადებით შეუწყდა სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა.

4.2 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის ,,ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ არსებობს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის იმავე საკითხზე.“ იქიდან გამომდინარე, რომ იმავე მხარეებს შორის იმავე საკითხზე იმავე საფუძვლით ეთიკის კომისიამ 2014 წლის 29 იანვარს მიიღო გადაწყვეტილებები, დისციპლინურ საქმეზე №109/11 უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით, მე-19-მე-20 მუხლებით, 31-ე მუხლით, მე–40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №109/11 ზ. ჯ.–ის მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

2. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გიორგი ტურაზაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნათია კორკოტაძე/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/